სატენდერო შეტყობინება

მიტარბის ნახშირმჟავა წყლის საბადოს ტერიტორიაზე საექსპლუატაციო ჰიდროგეოლოგიური ჭაბურღილი #19 -ის ბურღვის, გამაგრების და შესწავლის სამუშაოების შესყიდვაზე

გაცნობებთ, რომ აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი“ აცხადებს ტენდერს მიტარბის ნახშირმჟავა წყლის საბადოს ტერიტორიაზე საექსპლუატაციო ჰიდროგეოლოგიური ჭაბურღილი #19-ის ბურღვის, გამაგრების და შესწავლის სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი კვალიფიკაციის ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირს.

კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- რეკვიზიტები;
- საკონკურსო წინადადების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება;
- ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაოების შესრულების ვადის შესახებ/სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა.შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სპეციალური ტექნიკა და მანქანა-მექანიზმები.

გარდა ზემოთ მითითებული სავალდებულო მოთხოვნებისა გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებია:

- **გამოცდილება მინერალურ წყალზე ჭაბურღილების ბურღვის, გამაგრების და შესწავლის ტექნოლოგიის თავისებურებების გათვალისწინებით;**
- **ჭაბურღილის ბურღვის პროცესში კერნის ნიმუშების აღების გამოცდილება და ტექნიკური შესაძლებლობა;**
- **ფასი და გადახდის პირობა;**
- **სამუშაოს შესრულების ვადები;**
- **სამუშაოს ხარისხიანად შესრულების გარანტია, ასევე შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა;**
- **კონტრაქტის სხვა პირობები.**